



MES 1 23 0001782030



29/12/2023

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 15. 12. 2023

სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 16:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი (II, III, IV)

სხდომის თავმჯდომარე: თამარ ზარანდია (I)

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
5. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
6. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
7. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
8. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
9. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

10. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
11. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
12. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
13. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
14. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
15. **ხათუნა თოღაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
16. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
17. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
18. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

სახელი, გვარი	სტატუსი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ნინო ჭალავა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ანა სამსონაძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I

2	მაია ლევანიძე	თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	კინო-ტელე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
3	ვახტანგ ლეჟავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	II
4	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	II
5	თეიმურაზ კეჟერაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი, პროფესორი	III, IV
6	ქეთევან ვაჩიშვილი		ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი. "მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV
7	მაია ჭიჭილეიშვილი		სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;	III, IV
8	მამუკა ჯორბენაძე		სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი. "მხატვრული კონოს რეჟისურის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV
9	ინგა ხალვაში	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე, "მხატვრული კონოს რეჟისურის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ელენე ასათიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	სოფიო თავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ანი ქვათაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I

4	მარიამ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ანდრეას რეტო ვენგერი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ლელა კიკნაველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ანა შანშიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
9	სოსო გაზდელიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	კოსტას მანტუზალოსი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ალექსანდრე ვახტანგოვი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ნინო გელოვანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ლიანა ზაგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	ბერნარდ კერნეგერი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	მაია გრძელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
16	ნინო მგალობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
17	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
18	მარიამ გორგოძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა - თამარ ზარანდიამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 275-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის" საბაკალავრო, "ტელერეჟისურის" საბაკალავრო, "ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების" საბაკალავრო, "ხმის რეჟისურის" საბაკალავრო, "კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო, "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო, "კინო-ტელე ოპერატორის (თეორია და პრაქტიკა)" სამაგისტრო და "აუდიოვიზუალური ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მხატვრული კინოს რეჟისურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ, აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი საბჭოს განეხილა ბოლო საკითხად, რადგან საერთაშორისო ექსპერტი ვერ ახერხებდა მითითებულ დროს სხდომაზე დასწრებას. გარდა ამისა, მეორე საკითხად განხილული ყოფილიყო შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის" საბაკალავრო, "ტელერეჟისურის" საბაკალავრო, "ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების" საბაკალავრო, "ხმის რეჟისურის" საბაკალავრო, "კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო, "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო, "კინო-ტელე ოპერატორის (თეორია და პრაქტიკა)" სამაგისტრო და "აუდიოვიზუალური ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მხატვრული კინოს რეჟისურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის" საბაკალავრო, "ტელერეჟისურის" საბაკალავრო, "ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების" საბაკალავრო, "ხმის რეჟისურის" საბაკალავრო, "კინო-ტელე ოპერატორის" საბაკალავრო, "აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)" სამაგისტრო, "კინო-ტელე ოპერატორის (თეორია და პრაქტიკა)" სამაგისტრო და "აუდიოვიზუალური ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

"მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 336, 21/11/2011

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მხატვრული კინოს რეჟისურა; დოკუმენტური კინოს რეჟისურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 40
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

"ტელერეჟისურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტელერეჟისურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 336, 21/11/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტელერეჟისურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 40
15		-

მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
---	--

"ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 336, 21/11/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ანიმაციური კინოს რეჟისურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 40
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

"ხმის რეჟისურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხმის რეჟისურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 336, 21/11/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხმის რეჟისურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური

8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 40
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

“კინო-ტელე ოპერატორის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კინო-ტელე ოპერატორი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 336, 21/11/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კინო-ტელე ოპერატორი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 40
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმის, ტელე)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 282, 02/08/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	აუდიო – ვიზუალური რეჟისურა - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი ა. მხატვრული კინოს რეჟისურა ბ. დოკუმენტური კინოს რეჟისურა გ. ანიმაციური კინოს რეჟისურა დ. ტელერეჟისურა ე. ხმის რეჟისურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური რეჟისურის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 40
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

კინო-ტელე ოპერატორის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კინო-ტელე ოპერატორი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 282, 02/08/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კინო – ტელე ოპერატორი (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საოპერატორო ხელოვნების მაგისტრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება;
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 40
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აუდიოვიზუალური ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 287, 02/08/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	აუდიოვიზუალური ხელოვნება: რეჟისურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება;
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 40
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს თინათინ ჭაბუკიანმა და ლაშა ჩხარტიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი აკრედიტაციის საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა. მისი პოზიცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ანა ლელაძემ გააცნო აკრედიტაციის საბჭოს წევრებს. ექსპერტის წერილის თანახმად, აკრედიტაციის ვიზიტი სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2023 წლის 11-დან 14 სექტემბრის ჩათვლით. შეფასებული იქნა რვა პროგრამა, რომელიც კლასტერშია გაერთიანებული. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამებით დაწესებულება სთავაზობს სტუდენტს მიიღოს საბაკალავრო განათლება და კარგი პრაქტიკა. გარდა ამისა, სამაგისტრო და სადოქტორო განათლება, რომელშიც გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი თეორიული ნაწილი და რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. ოთხი დღის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, რვავე პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, დამსაქმებლებს, მოწვეულ პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს. საერთაშორისო ექსპერტი წერილში აღნიშნავს, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ორი შენობის მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკა. ვიზიტმა ჩაიარა ნორმალურად, ყოველგვარი ინციდენტების გარეშე. უნივერსიტეტმა უზრუნველყო ყველა საჭირო მტკიცებულების წარმოდგენა და ინტერვიუების დროს დასმულ კითხვებზე და მოსაზრებებზე რელევანტური პასუხების მოწოდება. რამდენიმე ინტერვიუ ეფექტურად განხორციელდა ჰიბრიდულ რეჟიმში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა უნივერსიტეტის ძალისხმევა აუდიო-ვიზუალური აღჭურვილობის განახლებასთან დაკავშირებით. მუშაობა ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს მომავალშიც. მისი თქმით, დასაფასებელია დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობები პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნით. თანამშრომლობა დარგის პარტნიორებთან და სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილებით უზრუნველყოფა გაზრდის პროგრამების რელევანტურობას და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელს. ექსპერტის მოსაზრებით, დასკვნაში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რჩევები და ძლიერი მხარეები როგორც ინდივიდუალური პროგრამებისათვის, ისე დაწესებულების მისამართით. საერთაშორისო ექსპერტმა წერილში აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია დასკვნასთან დაკავშირებით და გადაწყვიტა მისი გათვალისწინება. შესაბამისად, დასკვნაში განხორციელდა რამდენიმე საბოლოო ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ანა სამსონაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნა იყო სამართლიანი და ობიექტური. ექსპერტებმა დაინახეს უნივერსიტეტის როგორც სუსტი, ისე ძლიერი მხარეები. მისი თქმით, რამდენიმე რეკომენდაცია უკვე შესრულებულია, ხოლო დანარჩენ რეკომენდაციებზე მიმდინარეობს მუშაობა.

კინო-ტელე ოპერატორის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, მაია ლევანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ნაწილობრივ გაიზიარა 2.2 სტანდარტში მოცემული რეკომენდაცია რადგან მემორანდუმების უმეტესობა უნივერსიტეტს დადებული აქვს უვადოდ. მისი თქმით, ექსპერტები დაინტერესდნენ აქვს თუ არა დაწესებულებას გაწერილი კრიტერიუმები სტუდენტების ფესტივალზე გაგზავნასთან დაკავშირებით. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს გაწერილი კრიტერიუმები, კერძოდ, ჯგუფის ხელმძღვანელის რეკომენდაცია, აკადემიური მოსწრება, პროდუქტის შემოქმედებითი ღირებულება და ა.შ. მაია ლევანიძის თქმით, დაწესებულებამ ნაწილობრივ გაიზიარა რეკომენდაცია მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით რადგან უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს ტექნიკის განახლებაზე. აუდიოვიზუალური ხელოვნება მუდმივად განვითარებადი და მყარად დაფუძნებული დისციპლინური დარგია ტექნიკის თვალსაზრისით, თანადაფინანსება და მხარდაჭერა უნივერსიტეტს აქვს საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ 2024 წლისთვის დაწესებულებაში დაგეგმილია მატერიალური რესურსების მასშტაბური განახლება. მაია ლევანიძის თქმით, 5.1 სტანდარტში მოცემული რეკომენდაციები უნივერსიტეტმა ნაწილობრივ გაიზიარა. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის ხელმძღვანელებისა და პერსონალისთვის ტრენინგის ჩატარების პრობლემას. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ყოველთვის ტარდება ტრენინგები პროგრამის ხელმძღვანელებისა და პერსონალის განვითარებისთვის. რამდენჯერმე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ერასმუსის პროგრამით ჩაატარა ტრენინგები სწავლების ახალ მეთოდებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რეკომენდაცია ეხებოდა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარებას სადოქტორო საფეხურზე. მისი თქმით, "აუდიოვიზუალური ხელოვნების" სადოქტორო პროგრამა ახალია, რომელიც სრულად განსხვავდება წინა პროგრამისგან. დაწესებულება დოქტორანტურის სტუდენტებსა და პედაგოგებს შესაძლებლობას აძლევს სამეცნიერო ჟურნალებში გამოაქვეყნონ საკუთარი სტატიები. ხარისხის სამსახურმა შექმნა „სამეცნიერო შემოქმედებითი კინო ფორუმი“ პროექტის სახით, რომელიც იქნება სასწავლო და სამეცნიერო პროცესის გააქტიურებისთვის. აღნიშნული პროექტი გაიმართება 2024 წლის გაზაფხულზე. ასევე, 5.1 სტანდარტში მოცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა შეფასებების მიღების გააქტიურებას. მისი თქმით, დაწესებულება ყოველთვის აცნობს პედაგოგს მიღებული შეფასებების შესახებ ინფორმაციას, თუმცა მომავალში ეს უფრო დაიხვეწება. მან აღნიშნა, რომ როდესაც დაწესებულებაში არის პრობლემა, ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება კომისიები, რომლებიც მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრაზე. უნივერსიტეტი ყოველთვის ცდილობს რომ დაცული იყოს როგორც სტუდენტის, ისე პედაგოგის ინტერესები ამ მიმართულებით. მაია ლევანიძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებით გაიცა რჩევა, რომელიც დაწესებულებისთვის რთულად გასათვალისწინებელია, რადგან უნივერსიტეტს გააჩნია ძალიან მცირე ბიუჯეტი. შესაბამისად, რთულია ცალ-ცალკე პროგრამების ბიუჯეტის გამოყოფა. პროგრამებზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მექანიკური შეცდომა არის დაშვებული და ძველი დაშვების წინაპირობები არის ისევ დარჩენილი პროგრამებში, რომლებიც აუცილებლად გამოსწორდება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, მეშვიდე პროგრამის შინაარსი და ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან დაკავშირებით წინააღმდეგობაშია. ის დაინტერესდა რა არის ამის მიზეზი. ექსპერტმა სოფო თავაძემ აღნიშნა, რომ ტექსტში არის თარგმანის ხარვეზი რადგან პროგრამით გათვალისწინებულია ერთი ხელმძღვანელი, ხოლო რეკომენდაცია არის ის, რომ ერთზე მეტი ხელმძღვანელი ჰყავდეს სტუდენტს, რათა მას ჰქონდეს ხელმძღვანელის არჩევის შესაძლებლობა. ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ 4.4 და 4.5 სტანდარტში მატერიალურ რესურსებთან და ბიუჯეტთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ არის მოცემული, თუმცა მათზე საუბარია დასკვნის მოკლე მიმოხილვის ნაწილში. მას აინტერესებდა, არის თუ არ ეს ტექნიკური ხარვეზი. ექსპერტმა ანი ქვათაძემ განაცხადა, რომ ეს დაკავშირებულია საერთაშორისო ექსპერტის მუშაობასთან რადგან მოკლე მიმოხილვაზე მუშაობდა საერთაშორისო ექსპერტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 12:41

დასრულების დრო: 12:59

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (15/12/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - (15/12/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები

რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია, რომ მკაფიო კავშირი დამყარდეს არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებს (განსაკუთრებით კმაყოფილების გამოკითხვებს) და ყველა პროგრამის გასაუმჯობესებელ ასპექტებს შორის. ამ სათაურების მუდმივი განახლება აუცილებელია აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში კონკურენტუნარიანობისთვის.

2. მნიშვნელოვანია, რომ მკაფიო კავშირი დამყარდეს არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებსა (განსაკუთრებით კმაყოფილების გამოკითხვებს) და ყველა პროგრამის გაუმჯობესების ასპექტებს შორის. ამ სათაურების მუდმივი განახლება აუცილებელია აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში კონკურენტუნარიანობისთვის.

3. რეკომენდებულია, კინორეჟისურის საბაკალავრო პროგრამაში ტექნიკური უზუსტობის გამოსწორება.

4. რეკომენდირებულია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, სტუდენტებისთვის დარგობრივი პრაქტიკის მიწოდების მიზნით, უნივერსიტეტმა განაახლოს/ გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

5. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კურსებში ცვლილებების განხორციელების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა დაგეგმოს ტრენინგები პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის.

6. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეიმუშაოს სათანადო მექანიზმები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, ნაშრომებისა და დისერტაციების მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად.

7. რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნას პროგრამის გარე შეფასების სტრატეგია და დაეხმაროს უნივერსიტეტს საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში კოლეგიალური შეფასების მიღებაში კლასტერის თითოეული პროგრამისათვის

რჩევები:

- კარგი იქნება საერთაშორისო დამსაქმებლების, ან უცხოური უნივერსიტეტების სტუმრების ჩართვა, რათა მათ გამოთქვან საკუთარი აზრი პროგრამების განახლებისას; და ასევე კარგი იქნება სტუდენტების ე.წ. რბილი უნარების პროფილირება;
- კარგი იქნება საერთაშორისო დამსაქმებლების, ან უცხოური უნივერსიტეტების სტუმრების ჩართვა, რათა მათ გამოთქვან თავიანთი აზრი პროგრამების განახლებისას და ასევე დააფიქსირონ სტუდენტების ტრანსფერული უნარები;
- სასურველია, საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურების/სპეციალობის/უცხო ენის გამოცდის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის წარდგენა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში;
- სასურველია, უნივერსიტეტმა სწორად მიუთითოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- სასურველია უნივერსიტეტმა დანერგოს საერთაშორისო პროექტების შესახებ სტუდენტების ინფორმირების მექანიზმები და გაამდიდროს საერთაშორისო პროექტებში სტუდენტების ჩართულობა;
- სასურველია, უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს სტუდენტური ელექტრონული სისტემა უკეთესი მოხმარებისა და შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის;
- სასურველია სასწავლო მასალის გადახალისება ყოველწლიურად, რათა აღმოიფხვრას ხარვეზები, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შედეგად. ფაკულტეტმა უნდა ჩართოს მათი კვლევის შედეგები ყოველდღიურ სწავლებაში;
- სასურველია, უნივერსიტეტმა ბიუჯეტი გაზარდოს აუდიოვიზუალური მასალის მიწოდების განახლების მიზნით, რათა სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ მუდმივად განახლებულ ტექნოლოგიებთან, რომლებსაც გამოიყენებენ სწავლის ყველაზე პრაქტიკული შედეგებისთვის. სასურველია, უსდ-მ სტუდენტები წახალისოს, შექმნან სინერგია ერთმანეთში თავიანთი აუდიოვიზუალური შემოქმედებისთვის, განსაკუთრებით რეჟისურის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის მიმართულებით;
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააკონტროლოს, რომ ყველა დაინტერესებულმა პირმა მიიღოს შეფასების შედეგები;
- მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნას მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი კლასტერში განხილული ყველა პროგრამისათვის. ასევე, შედარებითი ანალიზი არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამის მომავალი განვითარების შესახებ.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტელერეჟისურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (15/12/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტელერეჟისურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - (15/12/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები

რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია, რომ მკაფიო კავშირი დამყარდეს არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებს (განსაკუთრებით კმაყოფილების გამოკითხვებს) და ყველა პროგრამის გასაუმჯობესებელ ასპექტებს შორის. ამ სათაურების მუდმივი განახლება აუცილებელია აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში კონკურენტუნარიანობისთვის;
2. მნიშვნელოვანია, რომ მკაფიო კავშირი დამყარდეს არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებსა (განსაკუთრებით კმაყოფილების გამოკითხვებს) და ყველა პროგრამის გაუმჯობესების ასპექტებს შორის. ამ სათაურების მუდმივი განახლება აუცილებელია აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში კონკურენტუნარიანობისთვის;
3. რეკომენდებულია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, სტუდენტებისთვის დარგობრივი პრაქტიკის მიწოდების მიზნით, უნივერსიტეტმა განაახლოს/ გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად;
4. რეკომენდებულია, ტელერეჟისურის საბაკალავრო პროგრამაში ტექნიკური უზუსტობის გამოსწორება;
5. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კურსებში ცვლილებების განხორციელების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა დაგეგმოს ტრენინგები პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის;

6. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეიმუშაოს სათანადო მექანიზმები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, ნაშრომებისა და დისერტაციების მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად;
7. რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნას პროგრამის გარე შეფასების სტრატეგია და დაეხმაროს უნივერსიტეტს საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში კოლეგიალური შეფასების მიღებაში კლასტერის თითოეული პროგრამისათვის.

რჩევები:

- კარგი იქნება საერთაშორისო დამსაქმებლების, ან უცხოური უნივერსიტეტების სტუმრების ჩართვა, რათა მათ გამოთქვან საკუთარი აზრი პროგრამების განახლებისას; და ასევე კარგი იქნება სტუდენტების ე.წ. რბილი უნარების პროფილირება;
- კარგი იქნება საერთაშორისო დამსაქმებლების, ან უცხოური უნივერსიტეტების სტუმრების ჩართვა, რათა მათ გამოთქვან თავიანთი აზრი პროგრამების განახლებისას და ასევე დააფიქსირონ სტუდენტების ტრანსფერული უნარები;
- სასურველია, საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურების/სპეციალობის/უცხო ენის გამოცდის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის წარდგენა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში;
- სასურველია, უნივერსიტეტმა დანერგოს საერთაშორისო პროექტების შესახებ სტუდენტების ინფორმირების მექანიზმები და გააძლიეროს საერთაშორისო პროექტებში სტუდენტების ჩართულობა;
- გააუმჯობესეთ სტუდენტური ელექტრონული სისტემა უკეთესი მოხმარებისა და შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის;
- სასურველია, სასწავლო მასალის გადახალისება ყოველწლიურად, რათა აღმოიფხვრას ხარვეზები, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შედეგად. ფაკულტეტმა უნდა ჩართოს მათი კვლევის შედეგები ყოველდღიურ სწავლებაში;
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ყველა ხატვის სტუდიას აქვს ერთი და იგივე ამოცანა, თუმცა გამოხატვის ფორმები იცვლება და ღრმავდება ეტაპობრივად. ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ სამსახიობო ხელოვნებაში მეტყველება ისწავლება რვა სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, მეტყველება რა შინაარსითაც იწყება პირველივე სემესტრში, იგივე შინაარსით ვერ იქნება მერვე სემესტრში. დაწესებულების წარმომადგენელმა, ანკა თაბუკაშვილმა განაცხადა, რომ ხატვის სტუდია 1 და 2 ისწავლება როგორც ინტერიერის დიზაინის პროგრამასა და სახვითი ხელოვნების პროგრამაზე, ისე ვიზუალური კომუნიკაციის პროგრამაზე. მისი თქმით, ამ უკანასკნელის აკრედიტაციის პროგრამის დასკვნა უნივერსიტეტმა უკვე მიიღო, თუმცა აღნიშნული საკითხი არ დგას განსახილველად. მისი თქმით, მოცემული პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები, არსებითად განსხვავდება აუდიოვიზუალური ხელოვნების პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებისაგან, თუმცა მიზანი ამ ორ პროგრამას ერთი აქვს. საერთაშორისო ექსპერტმა, ანდრეას ვენგერმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს სიღრმისეულად არ მოხდა აღნიშნული საკითხის განხილვა. ინტერიერის დიზაინი, არქიტექტურა და სხვა მსგავსი ტიპის პროგრამები არის ხარისხზე ორიენტირებული. ზოგჯერ რთულია მკვეთრად გამიჯნული სწავლის შედეგები გამოიყოს ისეთ კურსებზე როგორებიცაა ხატვა 1 და ხატვა 2, რათა მოხდეს ცვლილების დანახვა, თუმცა აქ მთავარია სტუდენტის კონკრეტული უნარების განვითარება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 13:41

დასრულების დრო: 13:50

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ 1.5 კომპონენტში დაამატა რეკომენდაციები, რის საფუძველზეც მისი შეფასება განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია სტანდარტების შეფასების ცვლილება

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (15/12/2030).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - (15/12/2030).

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „ხატვის სტუდია 1“ და „ხატვის სტუდია 2“ სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის სწავლის დონესთან.
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „დიზაინის პროგრამები 1“ და „დიზაინის პროგრამები 2“ მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის სწავლის დონესთან.

რჩევები:

- სასურველია, რომ საშუალოვადიან ჭრილში შემსუბუქდეს კურსდამთავრებულთა პროფესიულ კვალიფიკაციაზე ყურადღების გამახვილება და შრომის ბაზრის საჭიროებებზე კურსების შინაარსის მორგებაზე მკაფიო ორიენტირება, რამდენადაც თავად უნივერსიტეტი და ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო პროგრამა ეხმარება პროფესიული დარგის პრაქტიკის ფორმირებას. ცოდნის ინოვაციურ ფორმებს და იმპულსებს, რომელიც აკადემიური სწავლებიდან და კვლევიდან მოდის, შეუძლიათ წვლილი შეიტანონ პროფესიული დარგის პრაქტიკის განახლებაში.
- ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო პროგრამაში და მთლიანად თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში შემოთავაზებული კურსები სასურველია, მეტად იყოს ორიენტირებული

მდგრადობის კრიტერიუმებზე. გაეროს 2030 წლის დღის წესრიგი თავისი მდგრადი განვითარების 17 მიზნით (SDGs), რომელიც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტებს, შესაძლოა ამ კუთხით ღირებული მიმართულების მომცემი აღმოჩნდეს. ინტერიერის დიზაინი განსაკუთრებით მნიშვნელოვნად აპროექტებს, აყალიბებს და შესაძლებელს ხდის საზოგადოებათა შორის სოციალურ მიმოცვლას. დიზაინის პრაქტიკის სწავლებისას, ყურადღება უნდა მიექცეს მატერიალური, ენერგეტიკული და სოციალური პროცესების წრიულობას, რაზეც გავლენას ახდენს ან აყალიბებს ინტერიერის დიზაინი.

- ზოგადად, სასურველია გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა კვლევით პროექტებში. დისციპლინათაშორისი თანამშრომლობა შეიძლება ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ ან აკადემიურ თანამშრომლობას.

14:04 სთ-ზე სხდომას შემოუერთდა ლევან ნიკოლიეშვილი.

მესამე საკითხი: სიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მხატვრული კინოს რეჟისურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მხატვრული კინოს რეჟისურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 67, 26/07/2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	აუდიოვიზუალური ხელოვნება (მხატვრული კინოს რეჟისურა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური რეჟისურის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 - აუდიოვიზუალური მეტოდეები და მედიაპროდუქცია/წარმოება;
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ბათუმი, 6010 ზ. გორგილამის/ვაჟა ფშაველას ქ.№19/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაწილება

✓ კი

თვითაწილება განაცხადეს ერმილე მესხიამ და თინათინ ჭაბუკიანმა.

თვითაწილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, კოსტას მანტხალოსი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 სექტემბერს. მისი თქმით, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ენთუზიაზმით სავსე პერსონალს და დამსწრე პირებს. საბოლოო შთაბეჭდილება არის პოზიტიური. გაცემული რეკომენდაციები და რჩევები სამომავლოდ გააუმჯობესებს პროგრამას. მან აღნიშნა, რომ ძირითადი აქცენტი გაკეთდა ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით პროგრამის გაუმჯობესებაზე და მისი მოსაზრებით ინგლისური ენის დონის ამაღლებაც შეუწყობს ამას ხელს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ინგა ხალვაში მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ყოველწლიურად მტკიცდება სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წესი და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. 2024 წელს განახლება მიღების წინაპირობები იმ რედაქციით რა რედაქციითაც ახლა არის პროგრამაში აღწერილი. გარდა ამისა, დაემატება უცხო ენის კომპეტენციის დამადასტურებელი მოთხოვნები. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით რეკომენდაციას უნივერსიტეტი იზიარებს. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტის ხარისხის უფროსს დაევალა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება. მისი თქმით, გაფართოვდება და დაკონკრეტდება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის ფუნქციები, რომლებიც აისახება მარეგულირებელ წესში. ინგა ხალვაშიმა ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საბიბლიოთეკო სივრცე აბსოლუტურად აკმაყოფილებს სტუდენტების მოთხოვნილებებს. გარდა ამისა, მუსიკის ფაკულტეტს ცალკე აქვს ბიბლიოთეკა თავისი სამკითხველო სივრცით. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია მოცემული უნდა იყოს რჩევის სახით. ექსპერტმა, ნინო გელოვანმა საბიბლიოთეკო სივრცის გაზრდასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები და ლიტერატურა განვითარების გზას ადგას. შესაბამისად, დაწესებულებას შეუძლია საბიბლიოთეკო ბაზა განაახლოს და მოიყვანოს შესაბამისობაში. მისი თქმით, უნივერსიტეტმა თანამედროვე ლიტერატურით უნდა შეავსოს ბიბლიოთეკა, რომელიც სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იქნება. დაწესებულების წარმომადგენელმა 5.3

რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა უცხოური უნივერსიტეტებისაგან გაითვალისწინა პრაქტიკა. გარდა ამისა, დაწესებულება მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:25

დასრულების დრო: 14:34

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება. კერძოდ, 3.1 კომპონენტის შეფასება, ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, ასევე 4.4 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია მხოლოდ მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება და შეფასდა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მხატვრული კინოს რეჟისურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (15/12/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მხატვრული კინოს რეჟისურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - (15/12/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის დაშვების წინაპირობებში უცხო ენის დონის განსაზღვრა და მითითება.
2. რეკომენდებულია დაწესებულებამ ყურადღება მიაქციოს უცხო ენის სწავლებას, რათა დაწესებულების სტუდენტებს შეეძლოთ თავიანთი მოკლემეტრაჟიანი ფილმების სხვა ქვეყნებში ან/და საერთაშორისო ფესტივალებზე წარდგენა

3. რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების მიმართ მოთხოვნები და ხელმძღვანელთა რაოდენობის გაზრდისას პრიორიტეტი მიენიჭოს დარგში დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს.
4. რეკომენდებულია გავითვალისწინოთ ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება, არსებული საუკეთესო პრაქტიკა პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

რჩევები

- მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურის გაძლიერება კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული მეტი თეორიული მასალით.
- სასურველია პერსონალის წევრებს შორის ხშირი პრაქტიკული შეხვედრები და დისკუსიების მოწყობა, თუ როგორ გაუმჯობესდეს.
- სასურველია, განახლდეს ბიბლიოთეკის როგორც ფიზიკური სივრცე, ისე წიგნადი ფონდის მოცულობა.
- სასურველია შესაბამისი ინვესტიცია ბიბლიოთეკაში, რათა სტუდენტებს მიაწოდოს უახლესი ბიბლიოგრაფია საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების დიზაინისა და კინოს სფეროებიდან როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში. ეს ბიბლიოგრაფია საბოლოოდ უნდა აისახოს სასწავლო გეგმასა და კურსის სილაბუსებში.
- სასურველია, სტუდენტებს საკმაოდ ხშირი შეხება ჰქონდეთ ტექნიკურ ადჭურვილობასთან და შეიძინონ ცოდნა მისი პრაქტიკაში მაქსიმალურად გამოყენების კუთხით, რადგან უახლესი ტექნოლოგიები აუცილებელია კინოინდუსტრიის განვითარებისთვის.
- სასურველია, ყურადღება მიექცეს ფიზიკური რესურსების მუდმივ განახლებას და მთლიანი სივრცის შენარჩუნებას გარკვეული პირობების გათვალისწინებით (უკეთესი ვენტილაცია, განათება და ა.შ.).

მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მოდის დიზაინი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 188, 05.12.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დიზაინი (ტექსტილი დიზაინი; სამოსის დიზაინი)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მოდის დიზაინის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0212 - მოდის, ინტერიერის, ინდუსტრიული დიზაინი

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ზ. გორგილაძე/ვაჟა-ფშაველა 19/32, ბათუმი, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს ერმილე მესხიამ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, ბერნარდ კერნეგერი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მოწოდებულია მიიღოს განათლების საუკეთესო შედეგი, თუმცა მათი ქმედებები გამოწვევებით არის სავსე. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შიდა განხილვა სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით. პროგრამის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები. მათი ერთი ნაწილი ფორმალური სახისაა, რომელიც მარტივად შესასრულებელია, ხოლო მეორე ნაწილი მიმართულია სტრატეგიული განვითარებისაკენ. მისი თქმით, ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით სტუდენტებს უნდა განუვითარდეთ ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარები, რაც საჭიროებს ფართო მიდგომებსა და თემებს. რეკომენდაციებში ნახსენებია მსოფლიო გამოწვევების გათვალისწინება და მათი ინტეგრირება მოდის დიზაინის პროგრამაში. მაგალითად, კლიმატის ცვლილება, ეკონომიკური საკითხები, სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და სამომავლო მდგრადი განვითარება. გარდა ამისა, რეკომენდაციების ნაწილი ეხება საერთაშორისო კვლევებს. შესაბამისად, აღნიშნულმა რეკომენდაციებმა ექსპერტთა ჯგუფში გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. ბერნარდ კერნეგერის თქმით, ვიზიტის დროს ექსპერტები შეხვდნენ კვალიფიციურ ლექტორებს, პერსონალს, მოტივირებულ სტუდენტებს. მისი აზრით, პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციები კონტრიბუცია იქნება პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის. ექსპერტმა მათი გრძელიძემ განაცხადა, რომ რეკომენდაცია გაცემული იყო საგანთა ჯგუფის კერვის ტექნიკის, ტექნოლოგიისა და კონსტრუირება 1, 2, 3, 4, 5, 6-ის მიმართ. მისი თქმით, ერთსახელა საკითხები კონცენტრირებული უნდა იყოს ერთად იმიტომ, რომ ეს უფრო ოპტიმალურს გახდის საგანთა ჯგუფს. აღნიშნულის განხორციელებამ შეიძლება სტუდენტთა შედეგის გასვლაზე გავლენა არ მოახდინოს, თუმცა პროგრამას გამართულს და ოპტიმალურს გახდის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ინგა ხალვაში მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთევან ვაჩიშვილმა განაცხადა, რომ რეკომენდაციების ერთ ნაწილს უნივერსიტეტი იზიარებს, ხოლო მეორე ნაწილზე გარკვეული შეხედულებები აქვთ. მისი თქმით, 1.2 სტანდარტის რეკომენდაციას დაწესებულება გაითვალისწინებს. 1.5 სტანდარტის რეკომენდაცია შესრულებულია და გასაგებია ექსპერტები რას გულისხმობენ აღნიშნულ რეკომენდაციაში. თუმცა დაწესებულება მიიჩნევს, რომ მას უნდა ჰქონდეს არა რეკომენდაციის, არამედ რჩევის სახე. ქეთევან ვაჩიშვილმა 2.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია პროგრამაზე ჩასარიცხი კანდიდატისთვის მისაღები გამოცდების ცხრილი, შეფასების კრიტერიუმები, საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ. გარდა ამისა, აბიტურიენტებთან შეხვედრები იმართება დაწესებულებაში პროგრამების გაცნობის შესახებ. მისი თქმით, 2.2 სტანდარტში წერია შემდეგი: „კამპუსის ღონისძიებებში წვლილის შეტანა“ და „კონფერენციებზე დასწრება“. მას აინტერესებდა, კამპუსის ღონისძიებებში წვლილის შეტანას და კამპუსის ღონისძიებებში დასწრებას რატომ უნდა მიენიჭოს კრედიტი გაუგებარია უნივერსიტეტისთვის. კრედიტი ენიჭება სასწავლო კურსს. შესრულებული ნაშრომის გასაჩივრება განიხილება სპეციალური კომისიის მიერ. თუ მიღებული გადაწყვეტილება არ არის დამაკმაყოფილებელი, იქმნება სააპელაციო კომისია. ამ უკანასკნელში მონაწილეობას არ იღებს ის პედაგოგი, რომლის შესწორებული ნაშრომი იქნება გასაჩივრებული. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა მაია ჭიჭილეიშვილმა 4.3 სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტთა ორიენტირებული გარემოსა და პედაგოგიური კომპეტენციების განვითარება არის პერმანენტული პროცესი. ბოლო წლების განმავლობაში არაერთი ტრენინგი და შეხვედრა გაიმართა დაწესებულებაში სტუდენტთა ორიენტირებული გარემოსა და პედაგოგიური კომპეტენციების განვითარების მიზნით. დაწესებულების ვებ-გვერდზე არსებობს ჩატარებული ტრენინგების ჩამონათვალი. მაგალითად, პროგრამების სასწავლო კურსების მიზნებისა და შედეგების ურთიერთკავშირის, უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმისა, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და შედეგების შესახებ. გარდა ამისა, ბევრი ტრენინგი ჩატარდა პედაგოგებისთვის ონლაინ სწავლების მეთოდებისა და შეფასების ფორმების შესახებ, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების წვდომასთან დაკავშირებით და ა.შ. მაია ჭიჭილეიშვილმა განაცხადა, რომ დიდი უნივერსიტეტი არ არის დიდი მოცულობის, თუმცა ყველა ექსპერტმა აღნიშნა, რომ გარემო სტუდენტზე ორიენტირებულია. ქეთევან ვაჩიშვილმა უცხოურ პროგრამებთან დადარებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის დადარება მოხდა უცხოურ პროგრამებთან და პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, თუ ხატვა და ფერწერა ისწავლებოდა ექვსი სემესტრი, ახლა 4 სემესტრი ისწავლება. გარდა ამისა, დაემატა სასწავლო კურსი კომპიუტერული პროგრამების სახით. მისი თქმით, გარე შეფასება ყოველთვის სრულდება. მაგალითად, კიევის უნივერსიტეტს აღნიშნული პროგრამა გადაეგზავნა შეფასებისთვის და დაწესებულებამ მიიღო რამდენიმე რჩევა, რომელიც შესრულდა. საერთაშორისო ექსპერტმა, ბერნარდ კერნეგერმა აღნიშნა, რომ ბოლონიის სისტემის თანახმად ყველა აქტივობას, რომელსაც სტუდენტი ახორციელებს უნდა იყოს სამართლიანად დანახული და მიენიჭოს კრედიტი. მაგალითად, როდესაც სტუდენტი ადგენს აქტივობის დღიურს, რომელსაც გაუზიარებს ლექტორს ასეთ აქტივობას შესაბამისი კრედიტი უნდა ჰქონდეს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დასკვნაში მოცემული შეფასება ეფუძნება იმ დოკუმენტებსა და გასაუბრებებს, რომლებიც დაწესებულებამ წარმოადგინა. ვებგვერდის შემოწმების დროს ზოგიერთი საჭირო ინფორმაცია არ იყო ასახული მასზე. სტუდენტმა ექსპერტმა, მარიამ გორგოძემ 2.4 სტანდარტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით არგუმენტირებულ

პოზიციაში კომენტარი არ გაუკეთებია იმიტომ, რომ შესრულებული იყო რეკომენდაცია. ვიზიტის დროს გამოიკვეთა რომ არ მონაწილეობს ქულის ავტორი შეფასების კომისიაში. რეკომენდაცია ეხებოდა მხოლოდ ფორმულირების გამართვას, კერძოდ, სტუდენტს დეტალური ინფორმაცია უნდა ჰქონდეს აპელაციის პროცედურასთან დაკავშირებით. ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილების გაზიარებასა და უცხოურ უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამასთან დადარებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არგუმენტირებულ პოზიციაში საუბრობს, რომ სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმში არის მოცემული საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილების გაზიარებასა და უცხოურ უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია, თუმცა ექსპერტებმა ეს ყოველივე ვერ ნახეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:48

დასრულების დრო: 16:00

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება. კერძოდ, 2.1, 2.2 და 4.3 კომპონენტების შეფასება, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია მხოლოდ მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილებაც, კერძოდ, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (15/12/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - (15/12/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, განახლდეს სწავლის შედეგები ისე, რომ კონკრეტულად პასუხობდეს „მოდის დიზაინს“ და პროგრამის თემის თანამედროვე კომპეტენციების მახასიათებლებს - არამხოლოდ რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, არამედ საერთაშორისო დონეზე მიმდინარე მოვლენებსა და მოთხოვნებს.
2. რეკომენდებულია, წარმატებული ბალანსი იყოს დაცული ინდივიდუალურ პოტენციალს, ეკონომიკურ საჭიროებებსა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას შორის, როგორც ეს განსაზღვრულია პროგრამის მიზნებში;
3. რეკომენდებულია, შემოქმედებითი და ექსპერიმენტული პროცესის დაუფლებაზე უფრო სრულყოფილად მოხდეს ფოკუსირება, რაც გადამწყვეტია საუკეთესო მოდის დიზაინისთვის;
4. რეკომენდებულია, მოხდეს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ ცოდნისა და უნარების უფრო მჭიდრო დაკავშირება მოდის დიზაინის სპეციფიკურ კომპეტენციებთან.
5. რეკომენდებულია, დაწესებულებამ იპოვოს ბალანსი კონკრეტულ თემებზე ორიენტირებულ კურსებსა და იმ კურსებს შორის, რომლებიც საშუალებას აძლევენ სტუდენტებს ჩამოაყალიბონ ავტონომიური ინდივიდუალური პრაქტიკა, რომელიც სცილდება წინასწარ განსაზღვრულ თემებს და რომელიც ასევე სტუდენტების მიერ სხვა კურსებზე შეძენილი თეორიული და ტექნოლოგიური ელემენტების შემოქმედებითად გამოყენებას;
6. რეკომენდებულია თემების შინაარსის კონცენტრირება კურსებში „კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება 1, 2, 3, 4, 5 და 6“, ანთროპომეტრიული, დიზაინის, მასალის შესწავლისა და ტექნოლოგიური საკითხების თანმიმდევრობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით;
7. რეკომენდებულია დამსაქმებლებთან ან დარგობრივ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სტუდენტების რაოდენობის მითითება.
8. გასაჩივრების მექანიზმის დებულების გამჭვირვალობის და სტუდენტებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული ლექტორის (რომლის შეფასებაც გასაჩივრდა) სააპელაციო კომისიაში მონაწილეობის როლი და უფლებამოსილება.
9. რეკომენდებულია, შეიცვალოს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, რათა სტუდენტების შრომა შეფასდეს ერთზე მეტჯერ, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ეროვნულ რეგულაციებთან შესაბამისობა.
10. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სათანადო შესაძლებლობები საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად;
11. რეკომენდებულია, რომ პროგრამის ყველა მიზანი და პროგრამის სწავლის შედეგი - ამ შემთხვევაში, სოციალური პასუხისმგებლობა / მდგრადი განვითარება - სათანადოდ იყოს გათვალისწინებული პროგრამის განვითარებისთვის (ასევე იხილეთ რეკომენდაციები სტანდარტი 1.2).
12. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პერიოდულად შეადაროს საგანმანათლებლო პროგრამა უცხოური უნივერსიტეტების მსგავსს პროგრამებთან, ასევე მოამზადეთ დეტალური შედარებითი ანალიზი პროგრამის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით.

რჩევები

- სასურველია, ჩატარდეს პროგრამული დისკუსიები, რომელსაც უძღვებიან ევროპული ქსელები და ასევე შეიტანეთ ისეთი შედეგები, როგორცაა inter}arte პროექტის შედეგად მიღებული Tuning დოკუმენტი.


- სასურველია, გარდა ინდივიდუალური კონსულტაციისა, მეტი წერილობითი ინფორმაცია მიეწოდოს საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში თავისუფალი არჩევითი კურსებისთვის გამოყოფილი 60 ECTS კრედიტის ინდივიდუალურად ფორმირების სხვადასხვა გზების, კონკრეტულად, შესაძლო მაინორ პროგრამების რეგულაციებისა და შინაარსის შესახებ.
- სასურველია დიზაინის სფეროში სასწავლო პროცესის სპეციფიკის ასახვა და უფრო მცირე მოცულობის კურსების რაოდენობის შემცირება, რომლებიც, პირველ რიგში, ორიენტირებულია უტილიტარული უნარების განვითარებაზე;
- სასურველია სტუდენტის ინდივიდუალური სწავლისა და შემოქმედებითი მუშაობის შემდგომი გაძლიერება (კრიტიკული/კრეატიული აზროვნება და ინდივიდუალური პრაქტიკა);
- სასურველია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს ბიზნეს სექტორისა და კრეატიული ლიდერების აქტიური ჩართვა, როგორც ინდივიდუალური პროექტების დაშვების ერთ-ერთი გზა, რაც გააერთიანებს თეორიულ, პრაქტიკულ და შემოქმედებით ასპექტებს.
- სასურველია საერთაშორისო კონტაქტების გააქტიურება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ინდუსტრიულ ორგანიზაციებთან;
- სასურველია უნივერსიტეტის საინფორმაციო გვერდებზე ექსტრაკურიკულუმის აქტივობების (ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო) გამჭვირვალედ წარდგენა, როგორც ესენი ასახულია პროგრამის თვითშეფასებაში.
- სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტებს შესთავაზოს სპეციფიური ინტერდისციპლინური არჩევითი საგნები, კონსტრუირების კომპლექსურ და კრეატიულ მეთოდებზე.
- სასურველია BATU-ს ვებგვერდის საშუალებით აპლიკანტებისთვის ინფორმაციის მუდმივი მიწოდება, რომელიც მოიცავს შემოქმედებითი ტურის თარიღებს, მოთხოვნებს, კრიტერიუმებს და საკონტაქტო ინფორმაციას ინდივიდუალური შეკითხვებისთვის.
- სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს კრიტერიუმების კორექტირება და, საბოლოოდ, შემოქმედებითი ტურის დავალებების გაფართოება, რათა უკეთ შეფასდეს პროგრამის ყველა სწავლის შედეგით მოცემული მიმართულებით წარმატებით მუშაობის შესაძლებლობა.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეასწოროს სასწავლო გეგმაში არსებული მცირე ტექნიკური ხარვეზი, სადაც შემოქმედებით ტურში აბიტურიენტისთვის მიცემული დავალების ნაწილში: ნაცვლად „ხატვა - ნატურმორტი, რომელიც შედგება 2/3 ელემენტით და დრაპირებით - ფანქარში“, უნდა იყოს: „ხატვა - ნატურმორტი, რომელიც შედგება 2-3 ელემენტით და დრაპირებით - ფანქარში“.
- სასურველია ECTS-ის დატვირთვის მინიჭება იმ აქტივობებზე, რომლებიც სასარგებლოა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და რომლებიც ამჟამად განიხილება, როგორც მხოლოდ დამატებითი აქტივობები და მოთხოვნები (მაგ. ინდივიდუალურ პროექტებზე მუშაობა, კამპუსის ღონისძიებებში წვლილის შეტანა, კონფერენციებზე დასწრება და ა.შ) თავისუფალ არჩევით საგნების ნაწილად აღიარება მაინც.
- რაც შეეხება პროფესიულ სფეროში პრაქტიკას, სასურველია, უნივერსიტეტმა სილაბუსებში უფრო კონკრეტულად აღწეროს, რა სახის პრაქტიკული სამუშაოს შესრულება მოეთხოვება სტუდენტს;
- სასურველია პრაქტიკის პერიოდის განმავლობაში სხვა აქტივობებთან შედარებით პრაქტიკული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული შეფასების კონკრეტული წილის გაზრდა;
- სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს თანამშრომლოვითი აქტივობები ერთობლივი ღონისძიებების, გამოფენებისა და კონკურსების ორგანიზებით, ქვეყნის მასშტაბით სხვა უნივერსიტეტების მომიჯნავე პროგრამების სტუდენტების მონაწილეობით, რომ გაიზარდოს თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.

- სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალურ პრაქტიკასთან და ავტონომიურ სწავლასთან დაკავშირებით, ასევე სწავლებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისად დანერგვის თვალსაზრისით.
- სასურველია, კურსების „მეწარმეობის საფუძვლების“ და „შემოქმედების ფსიქოლოგიის შესავალის“ შუალედური გამოცდის თარიღის შეცვლა, ისე რომ დასკვნით გამოცდამდე გონივრული ვადა იყოს დარჩენილი;
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეცვალოს რეგულაცია პრაქტიკულ-შემოქმედებითი პროექტის შეფასებასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოთ რომ შეფასება შედგეს არა ყველა, არამედ კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი უმრავლესობის დასწრების შემთხვევაში.
- სასურველია, პლაგიატის შემთხვევაში, უნივერსიტეტმა უფრო გამჭვირვალე გახადოს, თუ როგორ ადგენენ დარღვევის დონეს პასუხისმგებელი მასწავლებლები და როგორ განიხილება პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის შედეგები.
- სასურველია, პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმი დაინერგოს უფრო ადრეულ კურსებზეც, სადაც კურსის ხასიათი იძლევა ამის საშუალებას.
- სასურველია, პროფესიული განვითარების ადეკვატური შესაძლებლობების დანერგვა სწავლების მეთოდებისა და პედაგოგიური კომპეტენციის კუთხით, განსაკუთრებით სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასთან დაკავშირებით - სამეცნიერო და მხატვრული/დიზაინის პრაქტიკის თვალსაზრისით არსებული საქმიანობის შესაბამისი ხარისხით.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შექმნას შეფასების შედეგების განხილვის კონკრეტული შესაძლებლობები, პერსონალისთვის განვითარების შესაძლებლობებზე ყურადღების გამახვილებით, იქნება ეს ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ დონეზე.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შექმნას პროგრამის ხელმძღვანელისთვის პროფესიული განვითარების ადეკვატური შესაძლებლობები, განსაკუთრებით საერთაშორისო ქსელის კუთხით დიზაინის/მოდის დიზაინის კონტექსტში (მაგ. CUMULUS კონფერენციებში მონაწილეობა, პროექტის აქტივობები ევროპულ დონეზე, ან ELIA ლიდერთა სამიტებში)
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეისწავლოს რელევანტური საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მოდის დიზაინში, მათი სახელოსნოების მოწყობისა და სტუდენტების მიერ ინდივიდუალურად წარმოების შესაძლებლობების კუთხით.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს განვითარების კონკრეტული სტრატეგია სახელოსნოებისა და დამატებითი ტექნოლოგიების გაფართოებასთან დაკავშირებით, საკუთარი რესურსებისა და გარე პროვაიდერებთან გააქტიურებული თანამშრომლობის კომბინაციით; დარწმუნდით, რომ ყველა შესაძლებლობა და რეგულაცია გამჭვირვალეა სტუდენტებისთვის.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამისთვის ინდივიდუალური ბიუჯეტები. ეს ხელს შეუწყობს უფრო ეფექტურ და ეფექტიან ფინანსურ დაგეგმვას და პროგრამების მენეჯმენტს.
- სასურველია, უნივერსიტეტმა ასახოს დამატებითი ფინანსური მოთხოვნები მოდის დიზაინის პროგრამის სტრატეგიული მიზნების კუთხით.
- სასურველია, პროგრამის ბიუჯეტის ზრდის უზრუნველსაყოფად დაფინანსების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავება.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შექმნას ფორმალური რეგულაცია, რომელიც გააუქმებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფორმალურ პასუხისმგებლობას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყველა საკითხზე, რომელიც ეხება მის ფუნქციას, როგორც მოდის დიზაინის პროგრამის ხელმძღვანელს.

- სასურველია, რომ გარე შემფასებლები იღებენ ყოვლისმომცველ მონაცემებს თავიანთი მუშაობისთვის, და დარწმუნდით, რომ გარე შეფასების ყველა შედეგი სათანადოდ არის განხილული და გათვალისწინებული შემდგომი განვითარებისთვის;
- სასურველია, უნივერსიტეტი შეეცადოს განახორციელოს კოლეგებს შორის გაკვეთილებზე ურთიერთდაკვირვების პროცესი, როგორც ბხსუ-ს კოლეგებს შორის ღია გაცვლითი კულტურის ნაწილი, რაც ასევე ხელს შეუწყობს პროფესიული სწავლების უნარების შემდგომ გაფართოებას.


დამტკიცებული დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:00 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



რ. რატიანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო წევრი
სხდომის თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

